

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ვლადიმერ წითლაურის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	20
პროფესიული თვისებები	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	87	100

თარიღი: 17. 09. 2024 წ.

ლ. ვ. მ. შ.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო სასამართლოებში, აგრეთვე - თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ვლადიმერ წითლაურის**

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, სააპელაციო სასამართლოებში, აგრეთვე - თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე (მათ შორის: 2-2 ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებში; 1-1 ვაკანტურ თანამდებობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში; 3-3 ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეთა, საგამოძიებო და წინასასამართლო კოლეგიებში) გამოცხადდა კონკურსი.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **ვლადიმერ წითლაური** (შემდგომში - „კანდიდატი“), თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ ყველა ვაკანტურ თანამდებობასთან მიმართებით.

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 4 სექტემბერს, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

დ. გვრიტიშვილი

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 34 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, ეროვნული უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 12 წელზე მეტია.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ ძირითადად დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში „კანდიდატი“ რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატს“ არ დაკისრებია რაიმე სახის პასუხისმგებლობა. სასამართლოში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; იგი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი; მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

2.1.6. „კანდიდატი“ არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის (შემდგომში - „სკოლა“) XVII ჯგუფის მსმენელი; ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს რიგითი ნომერი 1.

„კანდიდატმა“ მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა შემდეგი შედეგებით: ტესტური გამოცდა - 76 ქულა (მაქსიმალური ქულის 76%), წერიტი გამოცდა - 17 ქულა (მაქსიმალური ქულის 68%).

„სკოლის“ დამოუკიდებელმა საბჭომ „კანდიდატი“ დადებითად დაახასიათა; ამასთან, მის მიმართ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: იმუშაოს სემინარული მუშაობისას დამუშავებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების მეტად განვითარებაზე.

2.1.7. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის ღონისძიებებში ხშირად მონაწილეობს (მაგ: მონაწილეობდა ტრენინგებში თემებზე: „სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში“; „ლექტორის (ინსტრუქტორის) მომზადების კურსი“; „სასაზღვრო და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მეთოდოლოგია“ და ა.შ.).

„კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

სტამბა

წმ. ა.შ.

2.1.8. „კანდიდატი“ ეწევა სამეცნიერო/ პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

2.1.8.1. „კანდიდატმა“ წარმოადგინა შემდეგი პუბლიკაციები:

- „ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის განსაზღვრისთვის“, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2015წ.;
- „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა“, კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული N8, 2017წ.;
- „არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4, თბ. 2022წ.;
- ტესტები და კაზუსები საქართველოს სისხლის სამართალში (სისხლის სამართლის კოდექსის პრაქტიკულ - თემატური განხილვა), თბ. 2011წ.;
- არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, 2024წ.

2.1.8.2. ამასთან, მის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციების შესწავლით ირკვევა, რომ „კანდიდატი“ ხშირად იყენებს რთულ წინადადებებს, ასევე - შეინიშნება გარკვეული ხარვეზები სასყენი ნიშნების გამოყენებისას, რაც გადმოცემული აზრის აღქმას გარკვეულწილად აფერხებს.

2.1.8.3. „კანდიდატი“ 2014 წლიდან დღემდე კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თსუ; ეროვნული უნივერსიტეტი).

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. იმის გათვალისწინებით, რომ „საბჭომ“ სხვა კონკურსის (რომელიც გამოცხადებული იყო „საბჭოს“ 2024 წლის 28 ივნისის N1/52 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე და რომელიც ჩატარდა მოცემული კონკურსის პარალელურად) ფარგლებში 2024 წლის 3 სექტემბერს ჩატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა, ძირითადი ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ სწორედ 3 სექტემბრის საჯარო მოსმენის შედეგად იქნა მოპოვებული. „კანდიდატს“ „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატი“ ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

2.2.3. „კანდიდატმა“ წარმოაჩინა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების

საქართველო

ნა. ბიჭიანი

სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევედენტული სამართლის) სიღრმისეული ცოდნა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 4-ვე მახასიათებლის მიათხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ შეფასების 3.1 პუნქტში აღნიშნულ პრეზუმფციას „კანდიდატის“ 4-ვე მახასიათებლის მიხედვით კეთილსინდისიერად მიჩნევის შესახებ, დავასკვნე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მახასიათებლებს („პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“; „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“; „პიროვნული და პროფესიული ქცევა“; „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“).

3.2.3. დავსკვნა, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, თავისთავად განაპირობებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საბოლოო დასკვნას: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ამ შეფასების 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, „კანდიდატს“ მივანიჭე 24 ქულა.

4.2. ამ შეფასების 2.1.6 და 2.2.2 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 20 ქულა.

4.3. ამ შეფასების 2.1.6, 2.1.8.2 და 2.2.2 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარების“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 16 ქულა.

საქართველოს


ნ. ა. ანდრეაშვილი

4.4. ამ შეფასების 2.1.2 და 2.1.6 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პროფესიული თვისებები“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 12 ქულა.

4.6. ამ შეფასების 2.1.7 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 10 ქულა.

4.7. ამ შეფასების 2.1.8 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 5 ქულა.

4.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, „კანდიდატს“ მივანიჭე 87 ქულა (24+20+16+12+10+5).



სკანდისკერი
ნა. აქაძე